დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის N13 და

წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის N5 სხდომის გადაწყვეტილებებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის

დეპარტამენტის - „განათლების სკოლის“

დებულება

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეპარტამენტის - განათლების სკოლის“ მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებსა და დეპარტამენტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულს ხვა საკითხებს;
2. დეპარტამენტის დებულებას დეპარტამენტის საბჭოსთან ერთად შეიმუშავებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი და უთანხმებს ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანი დეპარტამენტის დებულებას განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დებულების მოწონების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი დეპარტამენტის დებულებას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

მუხლი 2.განათლების სკოლის სტატუსი

1. განათლების სკოლა (შემდგომში - სკოლა) არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საგანმანათლებლო და კვლევითი მიზნებისთვის შექმნილი დეპარტამენტი;

2. სკოლა შექმნილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 ივლისის N99 სხდომის ოქმით და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის №5 ოქმით.

მუხლი 3. სკოლის მიზნები და ამოცანები

3.1 სკოლა ემსახურება:

1. განათლების სფეროს მრავალმხრივ კვლევას ახალი ცოდნისა და გამოცდილების შესაქმნელად;
2. აკადემიური მომზადებისა და უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნას და მუდმივ განვითარებას;
3. განათლების სკოლის პროგრამების სინქრონიზაციასა და სხვა მიმართულებების აკადემიურ პროგრამებთან კავშირის გაძლიერებას;
4. პროფესიონალების მომზადებას კვლევის, სწავლებისა და პრაქტიკის სინქრონიზაციით;
5. განათლების სფეროს კადრების პროფესიულ განვითარებას;
6. სკოლის აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალი კადრების მოზიდვას;
7. განათლების სფეროში სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციას;
8. ინსტიტუციური კავშირების დამყარებასა და გაძლიერებას ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე;
9. განათლების პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობის მიღებას;
10. აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის მჭიდრო ურთიერთობების სტიმულირებას;
11. საკუთარი პოტენციალის და რესურსების გამოყენებას საზოგადოების საკეთილდღეოდ;
12. ადგილობრივ და საერთაშორისო დონორებთან მუშაობას სასწავლო და კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო რესურსების მოძიების მიზნით.

3.2 სკოლის ამოცანებია:

1. კურიკულუმების განვითარება;

2. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება;

3. ადამიანური რესურსების განვითარება;

4. კვლევითი პოტენციალის განვითარება;

5. ორგანიზაციული კულტურის განვითარება;

6. ინოვაციების დანერგვა;

7. სწავლების და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება;

8. თანამშრომლობის განვითარება დაინტერესებულ მხარეებთან ადგილობრივ და საერთაშორისო მასშტაბით.

მუხლი 4. სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლა ახორციელებს საქმიანობას კვლევის, აკადემიური და უწყვეტი განათლებისა და საზოგადოებრივი მომსახურების მიმართულებით;

2. კვლევითი საქმიანობა განათლების სკოლის გამჭოლი პრიორიტეტია. კვლევითი საქმიანობის მიზანია:

ა) განათლების სფეროში ახალი ცოდნის შექმნა და სწავლებასა და პრაქტიკაში მისი ინტეგრირების უზრუნველყოფა.

3. აკადემიური განათლების მიზანია:

ა) ცვალებად რეალობაზე მორგებული ეფექტური და მაღალი ხარისხის აკადემიური პროგრამების მომზადება და განხორციელება.

4. უწყვეტი განათლების მიზანია:

ა) ხელი შეუწყოს განათლების სპეციალისტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს პროფესიულ განვითარებაში.

5. საზოგადოებრივი მომსახურების მიზანია:

ა) სკოლამ შესაბამის ინსტიტუციებთან და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს განათლების სფეროს განვითარების ხელშეწყობა.

6. დასახული მიზნების შესასრულებლად სკოლა ფაკულტეტის დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო პროგრამებს.

მუხლი 5. სკოლის სტრუქტურა

სკოლა წარმოადგენს პროფესორთა და მკვლევართა გაერთიანებას, რომელთა საქმიანობა ეფუძნება დებულებით განსაზღვრულ მისიას, საქმიანობის პრინციპებს, მიზნებს და მიმართულებებს.

მუხლი 6. სკოლის მართვის ორგანოები

1. სკოლის მართვის ორგანოებია: სკოლის ხელმძღვანელი და სკოლის საბჭო, და კოლის მრჩეველთა საბჭო.

2. თავისი მიზნების შესასრულებლად სკოლა ფაკულტეტის დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მრჩეველთა საბჭოსთან თანამშრომლობით ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს.

მუხლის 7. სკოლის საბჭო

1. სკოლის საბჭო შედგება: სკოლის ხელმძღვანელისგან და აკადემიური პროგრამების ცალკეული კონცენტრაციების/მიმართულების ერთი წარმომადგენლისაგან, რომლებიც სახელდებიან კენჭისყრის საფუძველზე.

2. როტაცია ხორციელდება პროგრამაზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. საბჭოს წევრი შესაძლოა გახდეს აკადემიურ პროგრამაში ჩართული ნებისმიერი პირი კენჭისყრის საფუძველზე, რომელსაც აქვს უნივერსიტეტთან შრომითი ხელშკრულება.

4. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება უნივერსიტეტთან შრომითი ხელშეკრულების ამოწურვის, პირადი განცხადების საფუძველზე, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

5. სკოლის საბჭოს ფუნქციებია:

ა) სკოლის კონცეფციის შემუშავება და წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსთვის;

ბ) სკოლის განვითარების გეგმის შემუშავება და წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსთვის;

გ) სამოქმედო გეგმის შემუშავება და წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსთვის;

დ) სკოლის ბიუჯეტის შემუშავება და წარდგენა ფაკულტეტის დეკანისათვის;

ე) დირექტორთან და ფაკულტეტის დეკანთან კონსულტაციის საფუძველზე ფაკულტეტი შეიმუშავებს სკოლის პროგრამების განვითარების კონცეფციას;

ვ) სკოლის მრჩეველთა საბჭოს განსაზღვრა;

ზ) ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით სკოლის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ სკოლის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხილვა და შემუშავება;

თ) სკოლის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია, თუ საბჭოს სხდომას ესწრება სკოლის საბჭოს წევრების ნახევარზე მეტი.

მუხლის 8.სკოლის ხელმძღვანელი

1. სკოლის ხელმძღვანელი დეპარტამენტს მართავს ფაკულტეტის დეკანთან კონსულტაციით ფაკულტეტის საჭიროებიდან გამომდინარე;

2. სკოლის ხელმძღვანელი:

2.1 ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ინიშნება რექტორის მიერ და ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით ახორციელებს სკოლის საქმიანობას;

2.2 ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სკოლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას და სკოლის დებულებას;

2.3 ფაკულტეტის დეკანთან კონსულტაციის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს წინადადებებს მკვლევრებისა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირების საჭიროების და შერჩევის შესახებ;

2.4 ყოველი წლის ბოლოს ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 9. საბჭოს სხდომა

1. სკოლის საბჭოს სხდომას იწვევს სკოლის ხელმძღვანელი ან სკოლის საბჭოს არანაკლებ 3 (სამი) წევრი;

2. საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;

3. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ,,საბჭოს გადაწყვეტილების" სახით, დამსწრეთა უმრავლესობით, ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საბჭოს თავმჯდომარის ხმას.

მუხლი 10. მრჩეველთა საბჭო

1. სკოლას შესაძლოა ჰყავდეს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება განათლების მიმართულების განვითარებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისგან;
2. მრჩეველთა საბჭო შემოიფარგლება სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებებით, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებთან.

მუხლი 11. სკოლის გარდაქმნა და გაუქმება

სკოლის გარდაქმნის და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი12. დებულებაში ცვლილებების ან/დადამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილების ან/და დამატების პროექტს დეპარტამენტის საბჭოსთან ერთად შეიმუშავებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი და უთანხმებს ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანი დებულებაში ცვლილებას ან/და დამატებას განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დებულების მოწონების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი დეპარტამენტის დებულებას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.